საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №621

თბილისი „14“ 07 2017 წ.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,მ“ ქვეპუნქტების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-2 მუხლის „ო“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2017 წლის 14 ივლისის N835764 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების ტექნიკური კრიტერიუმები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი